

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ეკონომიკური სტატისტიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკური სტატისტიკის მაგისტრი (MA in Economic Statistics)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **მიზანი:** ეკონომიკურ სტატისტიკაში ხელოვნების მაგისტრის მომზადების მიზანია განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ეკონომიკის, სოციალურ და ბიზნესის სფეროში პროფესიული სრულყოფისთვის გათვალისწინებული სპეციალური დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა.

**შედეგი:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკური სტატისტიკის მაგისტრის ხარისხი ენიჭება სტუდენტს, რომელიც დაუფლებულია ზოგად/ტრანსფერულ და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს, გათვითცნობიერებული აქვს ცოდნისა და გაცნობიერების ყველა შემდეგი ასპექტი:

### 1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1. მაგისტრანტების ცოდნის გაღრმავება სტატისტიკურ მეთოდების გამოყენების სფეროში.

1.2. ნებისმიერი კონკრეტული პროცესის (მათ შორის ეკონომიკური) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა-დაჯგუფების, რაოდენობრივი ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების დაუფლება.

1.3. კომპეტენციის შექმნა სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების, ანალიზისა და განვითარების ტენდენციების დასადგენად.

### 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები:

2.1. ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილების ექსპერტიზისა და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საქმეში კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდების გამოყენებისა და მაგისტრანტებისათვის სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამოუმუშავება;

2.2. კვლევის შედეგების სწორი ინტერპრეტაცია ;

2.3. მოსახლეობაში მიმდინარე აღწარმოებით პროცესებზე ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის კონკრეტული ხერხების გამოყენების კომპეტენცია და უნარ-ჩვევების გამოუმუშავება;

2.4. სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კვლევებში საინდექსო მეთოდის გამოყენების უნარ-ჩვევების შექმნა.

### **3. ზოგადი უნარები:**

3.1. კოგნიტური უნარები: იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;

3.2. ტექნოლოგიური უნარები: ტექნოლოგიური მოწყობილობების, გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;

3.3. სოციალური უნარები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან; ჯგუფური მუშაობა; სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა.

3.4. ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.

ამასთან: გააჩნიათ ბაკალავრიატში მიღებულ განათლებაზე დაფუძნებული

და გადრმავეებული ცოდნა ეკონომიკის, სოციალურ და ბიზნესის სფეროში, რაც უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების ან გამოყენების შესაძლებლობებს;

- შეუძლიათ ცოდნისა და პრობლემის უნარის გამოყენება ახალ ან სრულიად უცხო გარემოში;
- გააჩნიათ ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლიათ თავი გაართვან სიძნელეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, რომლებშიც მათი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიცაა ასახული;
- შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;
- გააჩნიათ ისეთი უნარ-ჩვევები, რაც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისა და დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის საშუალებას იძლევა.

• **დასაქმების სფეროები:**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა ბანკები, აგრეთვე ნებისმიერი სამინისტროს და სახელმწიფო უწყების ეკონომიკურ-სტატისტიკური ორგანოები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.

• **სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

ეკონომიკური სტატისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიიღება ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, რომელსაც საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობების გარდა მიღებული აქვს ფართო განათლება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას B1 დონეზე მაინც .

• **მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების საკითხები:**

1. სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზაციული ფორმები, სახეები და ხერხები
2. შერჩევითი დაკვირვების ცნება, სახეები და ხერხები
3. სტატისტიკურ მონაცემთა თავმოყრა, ცნება, სახეები
4. სტატისტიკური დაჯგუფება, ცნება, სახეები და გამოყენების სფერო
5. სტატისტიკური ცხრილის ცნება და სახეები
6. შეფარდებითი სტატისტიკური სიდიდეები, ცნება, სახეები, გაანგარიშების მეთოდები
7. ხარისხოვანი საშუალო სიდიდეები, სახეები, გაანგარიშების წესები და გამოყენების სფეროები ეკონომიკასა და ბიზნესში
8. სტრუქტურული საშუალო სიდიდეები, სახეები, გაანგარიშების წესები და გამოყენების სფეროები ეკონომიკასა და ბიზნესში
9. ვარიაციის მაჩვენებლები, ცნება, სახეები, გაანგარიშების წესები და გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში
10. მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის ფორმები და სახეები.

11. წყვილადი კორელაცია და მისი სტატისტიკური შესწავლა.
12. მრავლობითი კორელაცია და მისი სტატისტიკური შესწავლა.
13. კორელაციის წრფივი კოეფიციენტი. ფეხნერის კოეფიციენტი.
14. ასოციაციის, კონტინგენციისა და ბისერიალური კორელაციის კოეფიციენტები და მათი გამოყენება.
15. რანგების კორელაციის კოეფიციენტები.
16. პირსონის კორელაციის ინდექსი.
17. დროითი (დინამიკური) მწკრივის საანალიზო აბსოლუტური მაჩვენებლები და მათი გამოყენება ეკონომიკასა და ბიზნესში.
18. დროითი მწკრივის საანალიზო შეფარდებითი მაჩვენებლები და მათი გამოყენება ეკონომიკასა და ბიზნესში
19. დროითი მწკრივის ძირითადი კომპონენტები
20. დროითი მწკრივების მოსწორების მარტივი ხერხები
21. დროითი მწკრივების მოსწორების ანალიზური ხერხები
22. დროითი მწკრივების ინტერპოლაცია და ექსტრაპოლაცია
23. სტატისტიკური ინდექსების წარმოშობა: დიუტოს და კარლის მარტივი ინდექსები
24. ლასპერესისა და პააშეს აგრეგატული ინდექსები და მათი გამოყენება თანამედროვე ეტაპზე
25. ფიშერის „იდეალური“ ინდექსი
26. საშუალო ინდექსები და მათი გამოყენება ეკონომიკასა და ბიზნესში
27. აგრეგატული ინდექსების ურთიერთკავშირი და მათი გამოყენება ეკონომიკურ ანალიზში
28. ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსები.
29. ტერიტორიული ინდექსები და მათი გამოყენება.
30. მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, როგორც მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესწავლის მნიშვნელოვანი წყარო
31. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები, მათი გაანგარიშების მეთოდები
32. მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლები
33. მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც ბიზნეს გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორი
34. ჰუმანური განვითარების ინდექსი და მისი ძირითადი კომპონენტები

35. მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური მაჩვენებლები.  
კ. ჯინის კოეფიციენტის გამოყენება
36. სიღარიბის სტატისტიკური შესწავლა. სიღარიბის დონის, სიღრმისა და სიმწვავის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების ხერხები
37. მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლები
38. დასაქმებულთა რიცხოვნობისა და შემადგენლობის სტატისტიკური შესწავლა
39. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზოგადი დახასიათება
40. მთლიანი შიდა პროდუქტი როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი
41. ეროვნული და სხვა სახის შემოსავლები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
42. ეროვნული სიმდიდრე როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელოვანი კატეგორია, მისი ცნება და სტრუქტურა
43. ფასების სტატისტიკური შესწავლა
44. ინფლაციის სტატისტიკური შეფასების მეთოდები

### ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. გამომც. „ზეონი“, თბ., 2007.
2. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005.
3. Теория статистики - Под ред. Р. А. Шмойловой. М., 2004.
4. Essentials of Statistics for Business and Economics. David R.R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas Arthur Williams. 2005.
5. Bamberg G., Baur F. Statistik. 12. Auflage. München, 2002.